არასამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი შრომის სტატისტიკის სამმართველო
1.3. საკონტაქტო პირი	ვასილ წაქაძე ირმა გვილავა
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი შრომის სტატისტიკის სამმართველოს უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	vtsakadze@geostat.ge igvilava@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (600) +995 32 236 72 10 (608)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2026 წ. 16 ივნისი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2026 წ. 16 ივნისი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2026 წ. 16 ივნისი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა

3.1. მონაცემების აღწერა

„მონაცემები შრომის შესახებ“ (ხელფასების სტატისტიკური გამოკვლევა) სტატისტიკური გამოკვლევის კვარტალური და წლიური მონაცემები

ხელფასების სტატისტიკური გამოკვლევის მიზანია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასის შესახებ ინფორმაციის წარმოება. გამოკვლევა მოიცავს ყველა საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს და ორგანიზაციას.

2006 წლიდან ხელფასების გამოკვლევა 2 დამოუკიდებელ გამოკვლევას ეყრდნობა:

- **საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა** – არაფინანსური კორპორაციების გამოკვლევა, რომელიც შეიცავს შრომის სტატისტიკის მოდულს. გამოკვლევის მიზანია საწარმოთა სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლის წარმოება, მათ შორის დაქირავებით დასაქმებულთა რიცხოვნობისა და ხელფასის შესახებ;
- **მონაცემები შრომის შესახებ** – არასამეწარმეო სფეროსა და ფინანსური დაწესებულებების გამოკვლევა, რომლის მიზანია აღნიშნულ სფეროებში დაქირავებულთა რიცხოვნობისა და საშუალო ხელფასის შესახებ მონაცემების წარმოება.

დასაქმებასთან და შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული კითხვები ორივე გამოკვლევისთვის ერთი და იგივეა. აღნიშნული გამოკვლევებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოითვლება დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი საქმიანობის სახეების, სქესის, სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროების, საკუთრების ფორმებისა და რეგიონების მიხედვით.

2017 წლიდან ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ „მონაცემები შრომის შესახებ“ და „საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის“ წლიურ კითხვარებს ემატება ორ-ორი მოდული:

- სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯების ღირებულება;
- დაქირავებით დასაქმებულთა რიცხოვნობა და საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით.

3.2. კლასიფიკაციის სისტემა

ეკონომიკური საქმიანობის სახეები – სეკ 006-2016 (NACE Rev. 2).

3.3. სექტორის მოცვა

2006 წლამდე გამოკვლევა მოიცავდა ყველა საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის

საწარმოს/დაწესებულებას, ხოლო 2006 წლიდან მოიცავს მხოლოდ არასამეწარმეო და ფინანსური სექტორების დაწესებულებებს.
გამოკვლევა არ მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაციის NACE Rev.2-ის შემდეგ სექციებს:

- **სექცია T** – შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის;
- **სექცია U** – ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები.

3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები

დაქირავებით დასაქმებული – საწარმოში/ორგანიზაციაში დასაქმებული პირი, რომლის შრომითი ურთიერთობა დამსაქმებელთან რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით (კონტრაქტით, განუსაზღვრელი, განსაზღვრული ან კონკრეტული სამუშაოს შესრულების ვადით) და რომელიც იღებს შრომის ანაზღაურებას რეგულარულად.
დაქირავებულთა საშუალო რიცხოვნობა – საანგარიშო პერიოდში დაქირავებით დასაქმებულ პირთა საშუალო რიცხოვნობა. არასრული სამუშაო დროით დასაქმებული პირები საშუალო რიცხოვნობაში სრული განაკვეთის ეკვივალენტით აისახება.
შრომის ანაზღაურება (დარიცხული ხელფასის ფონდი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით):

- ძირითადი ხელფასი გაცემული ნამუშევარი დროის ან შესრულებული სამუშაოს მიხედვით;
- დანამატი, პრემია და სხვა წამახალისებელი სახის გასაცემლები;
- საკომპენსაციო და სხვა გასაცემლები, რომლებიც დაერიცხა დასაქმებულ პერსონალს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ნამუშევარი და არანამუშევარი დროისთვის (შვებულება, მოცდენები);
- ნატურით გაცემული ხელფასის ღირებულება.

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი – საანგარიშო პერიოდში (კვარტალი, წელი) დაქირავებულ პირებზე დარიცხული მთლიანი შრომის ანაზღაურება (ხელფასის ფონდი), გაყოფილი დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობასა და საანგარიშო პერიოდის თვეების რაოდენობაზე – 3-ზე (კვარტალური) ან 12-ზე (წლიური).

3.5. სტატისტიკური ერთეული

საწარმო/ორგანიზაცია – ეკონომიკური ერთეული, რომელიც აწარმოებს საქონელს ან ეწევა მომსახურებას, დამოუკიდებლად იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს საკუთარი რესურსების განაწილების შესახებ (ფლობს გადაწყვეტილებათა მიღებაში თავისუფლების განსაზღვრულ ხარისხს). საწარმო/ორგანიზაცია ახორციელებს ეკონომიკური საქმიანობის ერთ ან რამდენიმე სახეს ერთი ან მეტი ადგილმდებარეობის მიხედვით.

3.6. სტატისტიკური პოპულაცია

2006 წლამდე გამოკვლევა მოიცავდა ყველა საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის აქტიურ საწარმოს/ორგანიზაციას.
2006 წლიდან – ყველა აქტიურ დაწესებულებას, რომელთა ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: სახელმწიფო დაწესებულება; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო; საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ); არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირი (ა(ა)იპ). ასევე, გამოკვლევა მოიცავს ფინანსურ დაწესებულებებს განურჩევლად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.
ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით გამოკვლევა მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაციის (NACE Rev.2) A–S სექციებში შემავალ ყველა ეკონომიკურ საქმიანობას.
კვარტალურად/წლიურად გამოიკითხება დაახლოებით 2 500 ორგანიზაცია.

3.7. საანგარიშო არეალი

საქართველოს მთელი ტერიტორია ოკუპირებული ტერიტორიების გარდა.

3.8. დროის მოცვა

1998 წლიდან.

3.9. საბაზო პერიოდი

-

4. ზომის ერთეული

ათასი კაცი, ლარი.

5. საანგარიშო პერიოდი

კვარტალი, წელი.

6. ინსტიტუციური მანდატი
6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები
საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; https://www.geostat.ge/media/78020/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/78640/საქსტატის-დებულება-04.05.2026.pdf
6.2. მონაცემთა გაზიარება
-

7. კონფიდენციალურობა
7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა
1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“: • კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ანიურიდიული პირის შესახებ პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული. • კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და მჟღავნდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ანარასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია. • კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული დ ადამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება. https://www.geostat.ge/media/78020/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf 2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“ https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf 3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“ https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf 4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა
• კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები. • საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. გამოქვეყნების პოლიტიკა
8.1. გამოქვეყნების კალენდარი
მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა
https://www.geostat.ge/ka/calendar
8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა
მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე
კვარტალური; წლიური.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა
10.1. პრეს–რელიზები
გამოკვლევის შედეგებს თან ერთვის პრეს-რელიზი: https://www.geostat.ge/ka/relationsOfCategory/37/post
10.2. პუბლიკაციები
საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: https://www.geostat.ge/ka/single-categories/95/sakartvelos-statistikuri-tselitsdeuli სტატისტიკური პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში“: https://www.geostat.ge/ka/single-categories/115/genderuli-statistika
10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა
ონლაინ მონაცემთა ბაზა წარმოდგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებსაიტზე, მონაცემთა გავრცელების პროგრამა PC-Axis-ის ფორმატში: https://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Social%20Statistics__Labour/Wages_Nace2.px/?rxid=0cf5a8a7-15a1-4353-8e83-76e6e8a56340
10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა
-
10.5. სხვა
-
10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე
გამოკვლევის მეთოდოლოგიური დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/552/methodologia-sotsialuri-statistika
10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ
-

11. ხარისხის მართვა
11.1. ხარისხის უზრუნველყოფა
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).
11.2. ხარისხის შეფასება
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო

ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.
საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე:
https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf

12. შესაბამისობა

12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები

მონაცემთა ძირითადი მომხმარებლები არიან: სახელმწიფო უწყებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მკვლევრები, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები, მედია საშუალებები, პროფესიული კავშირების წარმომადგენლები, სტუდენტები, კერძო პირები და სხვა.
მომხმარებლები აღნიშნულ მონაცემებს იყენებენ საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზის მიზნით.

12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება

2023 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე:
https://www.geostat.ge/ka/page/customer-service

12.3. სისრულე

გამოკვლევიდან მიღებული ინფორმაცია შეესაბამება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტებსა და მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს.

13. სიზუსტე და სანდოობა

13.1. ზოგადი სიზუსტე

გამოკვლევიდან მიღებული მონაცემების შედარება ხდება გასული პერიოდის შესაბამის მონაცემებთან. საჭიროების შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავების პროცესში ხდება მონაცემთა გადამოწმება როგორც ადმინისტრაციულ წყაროებთან, ისე ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

13.2. შერჩევითი ცდომილება

ცხრილში წარმოდგენილია 2023 წელს არასამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის სტანდარტული ცდომილება, ნდობის ინტერვალი და ვარიაციის კოეფიციენტი:

	საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ლარი	სტანდარტული ცდომილება	95%-იანი ნდობის ინტერვალი		ვარიაციის კოეფიციენტი
			ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	
საშუალო ხელფასი, ლარი	1649.6	2.6	1644.7	1654.8	0.2%

13.3. არაშერჩევითი ცდომილება

არაშერჩევითი ცდომილების მინიმიზაციის მიზნით ხდება მონაცემების შედარება ადმინისტრაციულ წყაროებთან.

14. დროულობა და პუნქტუალურობა

14.1. დროულობა

გავრცელების დრო:

- კვარტალური – საანგარიშო პერიოდიდან 77-ე დღე;
- წლიური – საანგარიშო წლის მომდევნო წლის ოქტომბრის პირველი ნახევარი.

14.2. პუნქტუალურობა

მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა
15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული
გამოყენებული მეთოდოლოგია შესადარისია რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.
15.2. შესადარისობა – დროში
დროითი მწკრივის მონაცემები ერთმანეთთან შესადარისია.
15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის
მონაცემები თანმიმდევრულია.
15.4. თანამიმდევრულობა – შიდა
მონაცემები თანმიმდევრულია.

16. დანახარჯები და დატვირთვა
2024 წელს შრომის სტატისტიკური გამოკვლევის (მონაცემები შრომის შესახებ) ბიუჯეტმა 34.3 ათასი ლარი შეადგინა. 2024 წელს შრომის სტატისტიკური გამოკვლევის შერჩევის ზომა დაახლოებით 2 500 სუბიექტით განისაზღვრა.

17. მონაცემთა გადასინჯვა
17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა
სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf
17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა
მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) პრაქტიკაში არ განხორციელებულა.

18. სტატისტიკური დამუშავება
18.1. პირველადი მონაცემები
შრომის სტატისტიკური გამოკვლევის შევსებული კითხვარი (ონლაინ კითხვარი).
18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე
ყოველკვარტალურად.
18.3. მონაცემთა შეგროვება
2013 წლიდან გამოიყენება ონლაინ კითხვარი. https://questionnaires.geostat.ge/login კითხვარების ელექტრონული ვერსია განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/563/monatsemebi-shromis-shesakheb
18.4. მონაცემთა კონტროლი
მონაცემთა კონტროლი ხორციელდება რამდენიმე ეტაპად: • გამოკვლევის მონაცემების მიღება ხდება საანგარიშო პერიოდის გასვლიდან 25 დღეში; საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ რეგიონებში ინტერვიუერები ახორციელებენ მონაცემების პირველად კონტროლს; • ბაზებში ჩაწერილი მონაცემების შესაბამისობისა და ლოგიკური კავშირების შესამოწმებლად მომზადებულია ლოგიკური კონტროლები, რომელშიც ყველა შესაძლო შეუსაბამობა დეტალურადაა განხილული; • არასრული და შეუსაბამო მონაცემების გადამოწმება ხდება ადმინისტრაციული წყაროს ხელმისაწვდომ მონაცემებთან. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შეუსაბამობის გამოსასწორებლად ხდება რესპონდენტებთან დაკავშირება; • ბოლო ეტაპზე ხდება კვარტალებს შორის მონაცემების შედარება და საბოლოო მონაცემების გაანალიზება. მონაცემთა ბაზების დამუშავება/რედაქტირება ხორციელდება MS Access პროგრამაში, შრომის სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლების მიერ.
18.5. მონაცემთა გაანგარიშება
სტატისტიკური გამოკვლევა „მონაცემები შრომის შესახებ“ სრულად მოიცავს: • ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებს (საჯარო სკოლების და ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების გამოკლებით); • მსხვილ დაწესებულებებს;

- საფინანსო დაწესებულებებს, რომლებშიც დასაქმებულთა რიცხოვნობა 9 კაცს აღემატება.

შერჩევით არის მოცული:

- ყველა საჯარო სკოლა და ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღები;
- საფინანსო დაწესებულებები, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 10 კაცზე ნაკლებია;
- არასახელმწიფო ა(ა)იპ-ები (არასახელმწიფო არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირები).

ორგანიზაციების შერჩევა ხორციელდება სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე.
მონაცემთა შეწონვა ხდება ყოველკვარტალურად.
მაჩვენებლების გაანგარიშება ხორციელდება MS Access-ის გამოყენებით, ხოლო საშედეგო მონაცემების გავრცელება – MS Excel-ისა და PC-Axis-ის გამოყენებით.

18.6. მოსწორება

არ გამოიყენება.

19. კომენტარი

-